ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2391907

ნომერი: AR1370454

თარიღი : 13.01.2016

გაცემის თარიღი : 20.01.2016

გაცნობის თარიღი : 20.01.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მოედანი გულია , კულტსამეურნეო საქონლის მაღაზიის მიმდებარედ, (ნაკვ. 8/85) / ქალაქი თბილისი , მდინარე მტკვრის, გულიას ქუჩასა და ახალ მაგისტრალს შორის.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი გამყრელიძე პ/ნ 01009016937
- თბილისი. ზ. ფალიაშვილის ქ 39 ბ19

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება (გარდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მიწის ნაკვეთების საზღვრებისა)

განაცხადის სტატუსი შუალედური

გადაწყვეტილება

არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ AR1370454 ელექტრონულად ატვირთული განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, კრწანისის რაიონი, მოედანი გულია, კულტსამეურნეო საქონლის მაღაზიის

მიმდებარედ, (ნაკვ. 8/85)/ქალაქი თბილისი, მდინარე მტკვრის, გულიას ქუჩასა და ახალ მაგისტრალს შორის არსებული მიწის ნაკვეთის (საკად.კოდი: 01.18.05.008.140) საზღვრების კორექტირებას, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-104 დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) მე-2 და მე-3 მუხლების თანახმად, სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს კანონით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას.

განხილვის შედეგად მოგახსენებთ, რომ წარმოდგენილი ესკიზის მიხედვით, კორექტირების შემთხვევაში ხდება გადაფარვა მიმდებარედ სახელმწიფოს საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ01.18.05.008.133), აღნიშნულიდან გამომდინარე ვინაიდან კორექტირება შესაძლებელია მხოლოდ მიმდებარე რეგისტრაციების გათვალისწინებით და არსებული მყარი ნაგებობის კონტურის გათვალისწინებით, სასურველია სამივე მიწის ნაკვეთის (ს/კ01.18.05.008.148, 01.18.05.008.140, 01.18.05.008.133) კორექტირება მოხდეს ერთდროულად. შესაბამისად კორექტირებული საზღვრები მოიყვანეთ ქალაქგემარებით ნორმებთან შესაბამისობაში. აღნიშნული დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ სამსახური განმეორებით განიხილავს საკითხს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.